საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს
თეა წულუკიანს

სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს
ნიკოლოზ აზნაურაშვილს

სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის
პირველ მოადგილეს, მუზეუმთა ჯგუფის დირექტორს
ნიკა ახალბედაშვილს

ცნობისთვის: სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურ დირექტორს
დავით ლორთქიფანიძეს

რეკომენდაცია
პროფესიულ საქმიანობაში განსხვავებული მოსაზრების ნიშნით
პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ქალბატონო თეა,

საქართველოს სახალხო დამცველს, 2023 წლის 7 სექტემბერს, გ.ბ.-მ მომართა[1], რომელიც სადავოდ ხდის განსხვავებული შეხედულების გამო საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემის მხრიდან, სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2021 წლის 11 თებერვლის N05 ბრძანებით გამოცხადებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის – *„ოროზმანი, ახალი ადრეპლეისტოცენური არქეოლოგიური ძეგლი საქართველოში“* საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება–მოვალეობების განხორციელებაში ხელშეშლას. ამასთან, გ.ბ. სადავოდ ხდის, სსიპ -

[1] **განცხადებები: N10852/23; N13711/23; N14089/23; N14812/23; N1939/24; N1905/24; N2546/24.**

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხრიდან, არქეოლოგიურ სამუშაოებზე ნებართვის გაუცემლობის კანონიერების საკითხს.[2]

საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრისგან, სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორისგან, გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის - მუზეუმთა ჯგუფის დირექტორისგან და სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლისგან.

1. **ფაქტობრივი გარემოებები**

განმცხადებელი, ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის, მუზეუმთა ჯგუფის დირექტორის 2022 წლის 24 მაისის ბრძანების საფუძველზე, პალეოანთროპოლოგიისა და პალეობიოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. განმცხადებელი გათავისუფლების საკითხზე დავას თბილისის საქალაქო სასამართლოში აწარმოებს.

2021 წლის 01 ნოემბერს, განმცხადებელმა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში გაიმარჯვა - *„ოროზმანი, ახალი ადრეპლეისტოცენური არქეოლოგიური ძეგლი საქართველოში“.* კონკურსში გამარჯვების საფუძველზე, 2021 წლის 01 ნოემბერს, გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, გ.ბ.-ს და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის. **პროექტის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს გეოლოგიური კვლევებისა და არქეოლოგიური გათხრების ჩატარებას ოროზმანსა და მიმდებარე ტერიტორიაზე.** ასევე, განმცხადებელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამავე სახელწოდებით სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობს. გრანტის მოპოვებისათვის აუცილებელი იყო საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანხმობის წერილი და თანამონაწილეობა მატერიალური ბაზის უზრუნველყოფით გრანტის დასრულებამდე (2024 წლის 01 მაისი). ფონდი ადასტურებს, რომ კვლევითი პროექტი ითვალისწინებს სსიპ - ეროვნული მუზეუმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებას.

[2] N9386/23, 7.08.2023 განცხადება.

საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა, სხვადასხვა ეტაპზე, რამდენჯერმე მიმართა[3] სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს. კერძოდ, 2022 წლის 2 თებერვლის წერილით, ეროვნულმა მუზეუმმა სთხოვა სააგენტოს არქეოლოგიური სამუშაოების წარმოებაზე ნებართვის გაცემა გ.ბ.-ის სახელზე და განმარტა, რომ სამუშაოების შედეგად მოპოვებული მასალა განთავსდებოდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას ფონდებში. მოგვიანებით, 2022 წლის 6 აპრილის წერილში, მუზეუმმა გამოხატა თანხმობა არქეოლოგიური არტეფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში მათ მიღებასა და დაცვის სათანადო პირობებში უზრუნველყოფაზე. ხოლო, 2022 წლის 11 მაისის წერილით მუზეუმის მიერ სააგენტოს განემარტა, რომ არქეოლოგიური გათხრების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კვლევითი გრანტი. ეროვნული მუზეუმის 2023 წლის 14 ივლისისა და 2024 წლის 16 თებერვლის წერილებით, სააგენტოს კიდევ ერთხელ ეცნობა, რომ ეროვნული მუზეუმი თანახმაა აღნიშნული გრანტით გათვალისწინებული და დაფინანსებული, დაგეგმილი არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლენილი სამუზეუმო მნიშვნელოვანი მასალა მიიღოს შესაბამის ფონდებში, მასალის შენახვის პირობების დაცვით, ამასთან, მასალა უნდა წარმოადგინოს პასუხისმგებელმა პირმა წერილობითი ფორმით, რათა მოხდეს არტეფაქტების მიღებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაფორმება. ასევე, განმცხადებელმა, გ.ბ.-მ, 2023 წლის 29 მაისს, მიმართა[4] სსიპ - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა ოროზმანის არქეოლოგიურ ობიექტზე არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემა. ვინაიდან, განმცხადებელს კანონით დადგენილ ვადაში საპასუხო კორესპონდენცია არ მიუღია, მან 2023 წლის 22 ივნისსა და 17 ივლისს კვლავ მიმართა[5] უწყებას მიღებული გადაწყვეტილების შეტყობინების მოთხოვნით, თუმცა, -უშედეგოდ.

ამასთან, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 19 ივლისის წერილის თანახმად, შესაბამისი წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, უწყება არ არის წინააღმდეგი მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდეს.[6] არქეოლოგიური გათხრების სამუშაოების ჩატარებაზე 2022 წელს თანხმობა ჰქონდა გამოხატული, ასევე, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას[7].

განმცხადებლის განმარტებით, ვინაიდან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო არ პასუხობდა ეროვნული მუზეუმის წერილებს, მის უფროს კოლეგასა და მასწავლებელს, პროფესორ ჯ. კ.-ს სთხოვა, სანებართვო დოკუმენტაცია თავის სახელზე

---

[3] საქართველოს ეროვნული მუზეუმის N01/99, N01/332, N01/491, N01/860, N01/276 წერილები სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს.
[4] გ.ბ.-ის N2708 განცხადება.
[5] გ.ბ.-ის N3310 და N3852 განცხადებები.
[6] სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი 19.07.2023, N5/39346, მიწის ნაკვეთი (ს/კ 82.01.47.051) წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას, ხოლო სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო - მოსარგებლე პირს.
[7] დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 21.01.2022, N108-1082202111 წერილი.

შეეტანა, რათა არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებაზე ნებართვა მიეღოთ. ჯ. კ.-ნმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში სანებართვო დოკუმენტაცია 2022 წლის ივნისში წარადგინა და 2022 წლის 01 ივლისს, ეროვნულმა სააგენტომ ნებართვა გასცა. განმცხადებელი პროფესორისადმი მადლიერებას გამოხატავს, ვინაიდან სწორედ ამ ნებართვის საფუძველზე მოახერხა არქეოლოგიური გათხრების ჩატარება, რის შედეგად ევრაზიის უძველესი ადამიანის კბილი და ბევრი უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური მასალა აღმოაჩინეს. გ.ბ.-ის განმარტებით, თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ, 2022 წლის მაისიდან - 2023 წლის თებერვლამდე (კერძოდ, დაახლოებით, 8 თვის განმავლობაში), აკრძალული ჰქონდა ეროვნულ მუზუმში შესვლის უფლება და დოქტორანტურისათვის საჭირო ინფორმაციასა და მის მიერ მოპოვებულ არქეოლოგიურ პალეონტოლოგიურ და ანთროპოლოგიურ მასალაზე წვდომა შეეზღუდა[8].

2022 წლის 15 დეკემბერს, განმცხადებელმა ეროვნულ მუზეუმს წერილით მიმართა, რათა ხელი არ შეეშალათ PHDF-21-1825 გრანტის განხორციელებისათვის და მიუთითა, რომ მისი აკადემიური თავისუფლებისა და საჯარო ინფორმაციის მიღების უფლება იზღუდებოდა. განმცხადებელმა, 2022 წლის 11 აპრილს, ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის პირველ მოადგილეს წერილი გაუგზავნა პროექტის განსახორციელებლად, განმცხადებლისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მიეწოდებინა. განმცხადებელი ითხოვდა, 2023 წელს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული არქეოლოგიური გათხრებისთვის ნებართვის მოსაპოვებლად, მუზეუმში მასალის დაბინავების უფლება მიეცათ. ეს ვალდებულება ეროვნულ მუზეუმს თანხმობის წერილის საფუძველზე ჰქონდა აღებული[9]. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ აღნიშნული წერილიც პასუხგაუცემელი დარჩა. კანონით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, განმცხადებელმა კვლავ მიმართა ნიკოლოზ ახალბედაშვილს, შეახსენა, რა, რომ პასუხის გასაცემად კანონით დადგენილი ვადა ამოიწურა, მოითხოვა, გაგზავნილ წერილზე დაუყოვნებლივ ეპასუხათ. განცხადების თანახმად, აღნიშნული წერილიც რეაგირების გარეშე დარჩა[10].

განცხადებიდან ირკვევა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და ეროვნულ მუზეუმს სრულყოფილი ინფორმაცია ჰქონდათ განმცხადებლის მიერ მოპოვებული PHDF-21-1825 გრანტის შესახებ. **2023 წლის 23 მარტს,** სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა, გრანტის პირობების შესახებ შეტყობინების წერილი გაგზავნა ეროვნულ მუზეუმსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში. ფონდი ადასტურებს, რომ გრანტით გათვალისწინებულია არქეოლოგიური სამუშაოები ორობზმანში, რისთვისაც გამოყოფილია დაფინანსება; ასევე, ეროვნულმა

---

[8] განმცხადებლის განმარტებით, საჯარო ინფორმაციაზე წვდომის უფლება შეეზღუდა.

[9] 17.03.2021 წლის თანხმობის წერილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ, ხელმომწერი: ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე.

[10] აღნიშნულს ადასტურებს გ.ბ.-ის 16.05.2023 წლის წერილი საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურ დირექტორის პირველი მოადგილის, ნიკოლოზ ახალბედაშვილის სახელზე.

სამეცნიერო ფონდმა შეახსენა ეროვნულ მუზეუმს მის მიერ 2021 წელს გრანტის მოპოვებისათვის აუცილებელი წინაპირობის - თანხმობის წერილის გაცემისა და აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე აღებული ვალდებულების შესრულების აუცილებლობის შესახებ[11].

განცხადებაში ასევე მითითებულია, რომ **2023 წლის 29 მაისის შემდეგ,** კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში, არქეოლოგიური კომისიის არაერთი სხდომა ჩატარდა და არქეოლოგიური კომისიის მიერ უამრავ გათხრებზე გაიცა ნებართვები; ასევე, კომისიის წევრებმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორს, არაერთხელ ჰკითხეს, რატომ არ გამოაქვთ ოროზმანის გათხრების საკითხი განსახილველად, რომელიც სააგენტოში 2023 წლის 29 მაისს შევიდა. განცხადების თანახმად, სააგენტომ საკითხი განსახილველად არცერთ სხდომაზე არ გამოიტანა და პასუხი არ გასცა ზეპირსიტყვიერ თუ წერილობით მიმართვებს.

განმცხადებელს მიაჩნია, რომ კულტურის სამინისტროს სისტემის მხრიდან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ხელის შეშლა და პროფესიული დევნა დისკრიმინაციული საფუძვლებით ხორციელდება. განმცხადებელი განმარტავს, რომ აღნიშნულის მიზეზი კულტურის სფეროში არასწორი პოლიტიკის კრიტიკა, სამინისტროს სისტემიდან გათავისუფლებული კოლეგების მხარდაჭერა, საპროტესტო აქციების დაგეგმვა და მასში მონაწილეობა, ასევე ტელეგადაცემებში განსხვავებული აზრის გამოხატვაა.

- კერძოდ, განცხადების თანახმად, 2022 წლის 10 თებერვალს, სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის ახალ ადმინისტრაციასთან შეხვედრის დროს, განმცხადებელმა პროტესტი გამოხატა 13 გამარჯვებული პროექტის შეჩერების თაობაზე; განმცხადებლის განმარტებით, იგი პროექტის მონაწილე არ იყო, თუმცა, ცდილობდა, მისი 130-ზე მეტი კოლეგა დაეცვა.
- 2022 წლის 7 აპრილს, განმცხადებელმა, კოლეგებთან ერთად, საქართველოს მეცნიერების, განათლებისა და კულტურის მუშაკთა პროფესიული კავშირი (შემდგომ - პროფკავშირი) დაარსა[12]. განმცხადებელი მიუთითებს, რომ იგი პროფესიული კავშირის გამგეობის წევრია და პროფკავშირის დაარსების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა ეროვნული მუზეუმის დირექციას[13].
- 2022 წლის მაისში, რეორგანიზაციის გამო თანამშრომელთა კომპეტენციის დადგენისა და შერჩევის მიზნით შექმნილი კომისიის ფარგლებში, განმცხადებელთან გასაუბრება გაიმართა. განმცხადებლის განმარტებით, გასაუბრებაზე ეროვნული მუზეუმის ახალი ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სამინისტროს სისტემის ირგვლივ განვითარებულ

[11] სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 23.03.2023 წლის N MES 6 23 0000332891 სსიპ - საქართველოს ეროვნულ მუზეუმს.

[12] წარმოდგენილი ინფორმაცია არის საჯაროდ ხელმისაწვდომი მონაცემების ასლი - საქართველოს მეცნიერების, განათლებისა და კულტურის მუშაკთა პროფესიული კავშირი N 405523107. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/epH47

[13] საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურ დირექტორს, დავით ლორთქიფანიძეს ა(ა)იპ საქართველოს მეცნიერების, განათლებისა და კულტურის მუშაკთა პროფესიული კავშირის 28.04.2022 წლის წერილი.

მოვლენებთან კავშირში მყოფ პროტესტებში მონაწილეობის შესახებ ეკითხებოდნენ. ასევე, ჰკითხეს, რატომ იყო დაუმორჩილებელი და იძლეოდა შენიშვნებს.

- 2022 წლის 18 ივნისს, განმცხადებელმა ინტერვიუ მისცა „რადიო თავისუფლებას“ ეროვნულ მუზეუმში მიმდინარე მოვლენების შესახებ, სადაც კრიტიკულად საუბრობს გასაუბრების თაობაზე და აკრიტიკებს კულტურის მინისტრს, თეა წულუკიანს.[14].
- 2022 წლის 16 ივლისს, საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან გათავისუფლებულებმა, მათ შორის განმცხადებელმა, ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებით გათვალისწინებული და ეროვნული მუზეუმის მიერ გაცემული საგარანტიო წერილების საფუძველზე სამუშაო ოთახებში დაშვება მოითხოვეს[15].
- 2022 წლის 7 სექტემბერს, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ოროზმანში საერთაშორისო არქეოლოგიურმა სამეცნიერო ექსპედიციამ, განმცხადებლის ხელმძღვანელობით, 1.8 მილიონი წლით დათარიღებულ ფენებში ადრეული ჰომო ერექტუსის ქვედა ყბის კბილი, მე-4 პრემოლარი აღმოაჩინა. განმცხადებლის განმარტებით, კულტურის სამინისტროს და ეროვნული მუზეუმის რეაქცია, ასეთ მნიშვნელოვან აღმოჩენაზე - სრული იგნორი იყო.
- 2022 წლის 18 სექტემბერს, ტელეკომპანია „ფორმულაზე“ განმცხადებლის ხელმძღვანელობით არქეოლოგიური სამეცნიერო ექსპედიციის აღმოჩენაზე სიუჟეტი გავიდა. სიუჟეტში საუბარია აღმოჩენის საერთაშორისო მნიშვნელობაზე, განმცხადებლის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ - კომპეტენციის დაწუნების საბაბით და არქეოლოგიური გათხრების საწარმოებლად ნებართვების გაცემის აუცილებლობასა და დროულობაზე, რომ 2023 წელს აუცილებლად უნდა დაწყებულიყო ძეგლის შესწავლა და მისი მსოფლიო მნიშვნელობიდან გამომდინარე, კულტურის სამინისტროს მხრიდან ხელის შეშლას ადგილი არ ჰქონოდა[16].
- 2022 წლის 18 სექტემბერს, ზემოხსენებულ აღმოჩენაზე სიუჟეტი გავიდა ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ეთერში[17]. განმცხადებლის განმარტებით, აღნიშნულის შესახებ ცნობილი გახდა კულტურის სამინისტროსა და მისი სისტემისთვისაც, რომელიც მანამდე არ რეაგირებდა მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენაზე. განმცადებელი სიუჟეტში ასევე ახსენებს მინისტრისა და სამინისტროს სისტემის მხრიდან მისდამი მტრულ დამოკიდებულებასა და დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლებაზე.
- განმცხადებლის თანახმად, 2022 წლის 24 სექტემბერს, სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელსაც, მათ შორის, მთელი მსოფლიოდან 25 უმაღლესი რანგის სპეციალისტი/მეცნიერი ესწრებოდა, განმცხადებელს არ მიეცა შესაძლებლობა, ოროზმონაში აღმოჩენილი უძველესი კბილი წარედგინა. აღნიშნულის მიზეზი კულტურის სამინისტროს მიერ უძველესი კბილის საქართველოს ეროვნულ მუზეუმში განთავსება გახდა. ამასთან, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, თეა წულუკიანმა, კომენტარი გააკეთა, რომ სამინისტროს გენინსპექცია

---

[14] იხ. გ.ბ.-ის 18.06.2022 წლის ინტერვიუ „რადიო თავისუფლებასთან“. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/vzK06

[15] საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურ დირექტორს, დავით ლორთქიფანიძეს, მოქალაქეების: გ.ბ.-ის, მ.პ.-ის, ა.მ.-ის, ნ.წ.-ის, გ.გ.-ის, ს.გ.-ის, ნ.ჯ.-ის 2022 წლის 16 ივლისის წერილი სსიპ - საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაშვების შესახებ.

[16] იხ. ტელეკომპანია „ფორმულას“ სიუჟეტი, 18.09.2022. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/rtAEH

[17] იხ. ტელეკომპანია „მთავარი არხის“ სიუჟეტი, 18.09.2022. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/coMR0

შეისწავლიდა, რატომ იყო კბილი კერძო პირის ბინაში[18]. სამეცნიერო კონფერენციაზე კი, უძველესი კბილის წარდგენის ნაცვლად, მხოლოდ კბილის ფოტოები წარადგინა[19].

- 2022 წლის 22 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტის წევრმა, თეა წულუკიანს კითხვა დაუსვა, კულტურის სამინისტროს სისტემიდან გათავისუფლებული თანამშრომლები თუ არაპროფესიონალები იყვნენ, მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენა როგორ გააკეთეს და რატომ დუმდა ამ ფაქტზე კულტურის სამინისტრო, როდესაც მასზე საერთაშორისო მედია საუბრობდა. კულტურის მინისტრს კითხვები სხვა დეპუტატებმაც დაუსვეს[20]. კულტურის მინისტრმა, დეპუტატების კითხვების საპასუხოდ, კვლავ მწვავედ, გააკრიტიკა გათავისუფლებული თანამშრომლები[21].
- 2022 წლის 24 ნოემბერს, საქართველოს მეცნიერების, განათლებისა და კულტურის პროფესიული კავშირის ორგანიზებით, გელათის გადასარჩენად აქცია გაიმართა. აქციაში მონაწილეობდა განმცხადებელიც, რომელმაც აქციაზე შეკრებილებს მიმართა და კულტურის მინისტრის პოლიტიკა გააკრიტიკა[22].

2. შესაბამისი უწყებების პოზიციები

2.1. კულტურისა და სპორტის სამინისტრო

---

[18] იხ. კულტურისა და სპორტის მინისტრის, თეა წულუკიანის განცხადება, 21.09.2022. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/fxyS5; ასევე, იხ. ოროზმანის კბილის შესახებ - რას ამბობენ არქეოლოგები და რას ამბობს სამინისტრო, publica.ge, 22.09.2022. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/qrAX8

[19] იხ. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ლინკი - ბოლნისში საერთაშორისო გამოფენა გაიხსნა - კბილი, რომლის სანახავად უცხოელი მეცნიერები და არქეოლოგები ჩამოვიდნენ, ვერ ნახეს, 24.09.2022. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/49Qj8I9

[20] იხ. საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის, თეა წულუკიანის მინისტრის საათი საქართველოს პარლამენტში, Formula News, 22.09.2022, www.youtube.com. ალეკო ელისაშვილის კითხვა კულტურისა და სპორტის მინისტრს, თეა წულუკიანსსრული ვერსია ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/dGIR6

[21] იქვე. კულტურისა და სპორტის მინისტრის, თეა წულუკიანის პასუხი: *„ჯერ ერთი, მე არ ვარ, არც BBC-ი და არც Reuters-ი [...] ასეთი აღმოჩენა თუ გაკეთდა სად არის ? მუზეუმში შემოტანილი არ არის. ეს არის ჩვეულებრივი იაფფასიანი პოლიტიკური შოუ [...] ეს ის მუზეუმია, რომლის ზოგიერთი თანამშრომელი, რომელიც ახლა უკვე გარეთ არის, 3000-მდე ექსპონატი აქვთ დაკარგული [...] კბილი, მართლაც ამ არაკომპეტენტურებმა კი არ აღმოაჩინეს, კბილი აღმოაჩინა ერთმა უცხოელმა სტუდენტმა. არქეოლოგიური გათხრა, თუკი მასში ოდესმე მონაწილეობა მიგვიღია, ვიცით, რომ ექსპედიციაში ვის შეხვდება აღმოჩენა, არ იცი. შესაბამისად, ეს არ არის ერთი კონკრეტული ადამიანის აღმოჩენა, რომლის გათხრებზე ნებართვა გავეცით ჩვენ. ნებართვა გავეცით იმიტომ, რომ ვთვლიდით, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. შესაბამისად, ვერ ვხვდები, რა არის საყვედურის შინაარსი. ბატონო, ალეკო, მე თქვენ, როგორც კულტურის მოამაგეს ისე გიცნობთ. თქვენ კომპეტენტურად თვლით ადამიანს, რომელიც იყო და ჯერ კიდევ არის ამ ექსპედიციის წევრი? [...] მე არ ვთვლი რომ ეს ასეა, შესაბამისად, ჩვენ არც ერთი კომპეტენტური თანამშრომელი არ გაგვითავისუფლებია. ჩვენ გავათავისუფლეთ არა ერთი თანამშრომელი, რომელიც ჩვენი გადასახედიდან არაკომპეტენტური იყო [...]“.* ასევე, იხ. 1) https://shorturl.at/awLOZ; 2) https://shorturl.at/kuvE1

[22] იხ. აქცია - „გადავარჩინოთ უნიკალური ძეგლი", 24.11.2022. აქციაზე გ.ბ.-ის მიმართვა: *„დღეს არის ისეთი მდგომარეობა, რომ ჩვენ აღარ შეგვეძლო მოგვეთმინა და შევიკრიბეთ, რომ წამოგვეყენებინა მოთხოვნები [...} ჩვენს კულტურის მინისტრს ძალიან უყვარს კულტურის სფეროს წარმომადგენლებზე ხან პარლამენტის ტრიბუნიდან და ხან ტელევიზიებიდან თქმა, რომ მეცნიერები არიან არაკომპეტენტურები - დასკვნამ გელათის შესახებ აჩვენა, რომ თვითონ კულტურის მინისტრია არაკომპეტენტური, ის სრულიად ვერ ერკვევა არსებულ პრობლემებში, არ იცის, როგორ უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხი და გელათი გადაქცეულია რაღაც ექსპერიმენტულ ლაბორატორიად, სადაც სხვადასხვა ადამიანები ახორციელებენ თავიანთ ექსპერიმენტებს. ჩვენ ეს უნდა შევაჩეროთ".* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4bWMgzs; ასევე, იხ. გ.ბ.-ის ინტერვიუ გელათთან დაკავშირებულ საკითხებზე რადიო პალიტრა FM 103.9-სთან, 22.11.2022. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3SU8vx2

კულტურისა და სპორტის სამინისტრო არ ეთანხმება გ.ბ.-ის მიერ განცხადებებში მითითებულ ფაქტებსა და მათ შეფასებებს. კულტურის სამინისტროს თანახმად, დაუსაბუთებელია გ.ბ.-ის პოზიცია სსიპ ეროვნული მუზეუმის დებულების ცვლილების (სამუზეუმო ფონდში კვლევითი საქმიანობის მიზნებისთვის დაინტერესებული პირის დაშვებასთან დაკავშირებით) შესახებ. სამინისტროს შეფასებით, დებულების აღნიშნული ნორმის კანონიერების კონტექსტში გ.ბ. უთითებს ეკატერინე კიკნაძის საკონსტიტუციო სარჩელზე. სამინისტროს თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 15 დეკემბრის განჩინებით (№2/29/1714) ეკატერინე კიკნაძის სარჩელი არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად.

სამინისტროს განმარტებით, გ.ბ.-ის შესაძლებლობა აქვს, განახორციელოს სამეცნიერო საქმიანობა საგრანტო პროექტის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, რომ იგი აღარ არის ეროვნული მუზეუმის თანამშრომელი. სამინისტროს პასუხის თანახმად, გ.ბ.-ის განცხადებები, რომ სამინისტროს (სამინისტროს სისტემის) მხრიდან ხელი ეშლება სამეცნიერო საქმიანობაში, უსაფუძვლოა. სამინისტრო, დამატებით, მიუთითებს, რომ გ.ბ. სსიპ ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პალეოანთროპოლოგიისა და პალეობიოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის პოზიციიდან გათავისუფლდა რეორგანიზაციის ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რაც შეეხება დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ოროზმანში აღმოჩენილ არქეოლოგიურ მონაპოვარს, სამინისტროს თანახმად, მისი დაზიანებისა და დაკარგვის თავიდან აცილების მიზნით, განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები. სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარდა დისციპლინური წარმოება, რის შედეგადაც გამოიკვეთა გადაცდომები, რომელიც ექსპედიციის წევრების მხრიდან არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების, მოძიებული მასალის გადაადგილებისა და დაცვა-აღრიცხვის პირობების უგულებელყოფასა და დაუცველობაში გამოვლინდა.

დაბოლოს, სამინისტროს განმარტებით, გ.ბ.-ის მიერ მითითებული არცერთი ფაქტობრივი გარემოება არ ადასტურებს სამინისტროს (სამინისტროს სისტემის) მხრიდან მის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტს.

2.2. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანახმად, დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვემო ოროზმანში მდებარე მიწის ნაკვეთი სახელმწიფოსგან სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს სააგენტოს, რომელიც გეგმავს ხსენებული მიწის ნაკვეთის/მიმდებარე ტერიტორიის არქეოლოგიურ შესწავლას და შემდგომ

მის განვითარებას. სააგენტოს პასუხის თანახმად, გ.ბ.-სთან გაგზავნილ წერილობით პასუხში სააგენტომ გამოთქვა მზადყოფნა, **ითანამშრომლოს საკითხით დაინტერესებულ ნებისმიერ პირთან, მათ შორის, არქეოლოგებთან, რომლებსაც სურვილი ექნებათ, სააგენტოსთან ერთად, მონაწილეობა მიიღონ არქეოლოგიურ სამუშაოებში.** სააგენტო კიდევ ერთხელ ადასტურებს ნებისმიერ არქეოლოგთან კონსტრუქციული თანამშრომლობის მზაობას.

2.3. საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის, მუზეუმთა ჯგუფის დირექტორის საპასუხო პოზიცია

პასუხის თანახმად, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გაერთიანებაში შემავალი სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და მუზეუმთა ჯგუფში განხორციელებული რეორგანიზაციის ფარგლებში, გ.ბ. 2022 წლის 01 ივნისიდან გათავისუფლდა სსიპ ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პალეოანთროპოლოგიისა და პალეობიოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის პოზიციიდან.

ნიკა ახალბედაშვილი წერილში ხაზს უსვამს, რომ ეროვნული მუზეუმი დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ოროზმანში წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრებში, ძეგლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, წლების განმავლობაში აქტიურადაა ჩართული და მაქსიმალურად მხარს უჭერს მეცნიერ/მკვლევართა ჯგუფებს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური თუ სამეცნიერო რესურსით. იქვე მიუთითებს, რომ მართალია მუზეუმი არ წარმოადგენდა მხარეს (წამყვან ორგანიზაციას) სსიპ - „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს“, სსიპ - „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა“ და გ.ბ.-ის შორის გაფორმებულ საგრანტო ხელშეკრულებაში, თუმცა 2021 წლის 17 მარტს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა წერილობით გამოხატა მზაობა პროექტით გათვალისწინებული კვლევების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის შესახებ.

რაც შეეხება 2022 წელს განვითარებულ მოვლენებს, ნიკა ახალბედაშვილის განმარტებით, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ოროზმანში წარმოებული არქეოლოგიური მონაპოვრის აღრიცხვის და დაცვის პროცესი, არქეოლოგიურ ჯგუფში ჩართული პირების მხრიდან, უხეში დარღვევებით წარიმართა, რამაც მოპოვებული მასალა დაკარგვისა და დაზიანების რეალური საფრთხის წინაშე დააყენა, რასთან დაკავშირებითაც, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარდა დისციპლინური წარმოება, რის შედეგადაც გამოიკვეთა მთელი რიგი გადაცდომები, რომელიც ექსპედიციის წევრების მხრიდან არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების, მოძიებული მასალის გადაადგილებისა და დაცვა-აღრიცხვის პირობების უგულებელყოფასა და დაუცველობაში გამოვლინდა, კერძოდ, გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები მათი აღრიცხვის, აღწერის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შედგენის გარეშე გადმოტანილ იქნა ქ. თბილისში და მიღება-ჩაბარების

აქტის გარეშე განთავსდა პალეოანთროპოლოგიისა და პალეობიოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის შენობაში, ხოლო გათხრების შედეგად აღმოჩენილი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი - ადამიანის კუთვნილი კბილი შენახულ იქნა კერძო პირის სახლში.

საპასუხო წერილში, ნიკა ახალბედაშვილი ხაზს უსვამს, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნული ფაქტისა, ასევე იმ ფაქტობრივი გარემოებისა, რომ ეროვნული მუზეუმი არ წარმოადგენს საგრანტო ხელშეკრულების მონაწილე მხარეს და ვერ აიღებს პასუხისმგებლობას გ.ბ.-ის მიერ გრანტის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებაზე, ეროვნული მუზეუმი არის და იქნება მხარდამჭერი ისეთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური სამუშაოებისა, როგორსაც წარმოადგენს დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ოროზმანში წარმოებული არქეოლოგიური გათხრები. **წერილის თანახმად, აღნიშნულს ადასტურებს ასევე ის, რომ გ.ბ., მიუხედავად იმისა, რომ იგი აღარ არის ეროვნულ მუზეუმში დასაქმებული პირი, შეუფერხებლად შედის ეროვნული მუზეუმის შიდა ტერიტორიაზე და თავისუფლად შეუძლია განახორციელოს სამეცნიერო საქმიანობა საგრანტო პროექტის ფარგლებში, რომლის დამადასტურებელიც არის მის მიერ განხორციელებული 97 (ოთხმოცდაჩვიდმეტი) ვიზიტი ბოლო ექვსი თვის განმავლობაში.**

2.4. საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის საპასუხო პოზიცია

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი, დავით ლორთქიფანიძე, ზემოთ წარმოდგენილი მოპასუხეებისაგან განსხვავებით, საპასუხო პოზიციაში ადასტურებს გ.ბ.-ის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს.

დავით ლორთქიფანიძის თანახმად, გ.ბ.-ის გათავისუფლების ოფიციალური საფუძველი ეროვნულ მუზეუმში რეორგანიზაციისთვის ჩატარებული გასაუბრება გახდა. პროცესი მისი ჩართულობის გარეშე წარიმართა და კომისიის შემადგენლობაში არ იყვნენ ჩართული სათანადო დარგის სპეციალისტები. პირადად იგი, არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას და ხელი არ მოაწერა გ.ბ.-ის გათავისუფლების დოკუმენტაციას.

ეროვნული მუზეუმის მიერ გაცემული საგარანტიო წერილების საფუძველზე სამუშაო ოთახებში დაშვებაზე უარის და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო ვალდებულების შესრულებაში ხელშეშლის შესახებ პასუხად, დავით ლორთქიფანიძე განმარტავს, რომ 2021 წელს, შოთა რუსთაველის ფონდის დოქტორანტის გრანტის მიღებისთვის, საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა ნამდვილად გასცა საგარანტიო ფურცელი გ.ბ.-ის სახელზე, სადაც გრანტის განმავლობაში, ეროვნული მუზეუმი ვალდებულებას იღებდა, გ.ბ. უზრუნველეყო: ქვის ხანის კოლექციით, კომპიუტერით, ბიბლიოთეკით, პრინტერით, ლაბორატორიით, ბინოკულარით, ავტოპარკით, კომპიუტერული პროგრამა ARC MAP, ტაქეომეტრით.

ამასთან, დავით ლორთქიფანიძე ადასტურებს, რომ 2022 წლის პირველი ივნისიდან - 2023 წლის თებერვლამდე, გ.ბ.-ს არ ჰქონდა დაშვება მუზეუმში, რათა ემუშავა მისი ხელმძღვანელობით მოპოვებულ ოროზმანის არქეოლოგიურ მასალაზე. შესაბამისად, ის ვერ ახერხებდა რუსთაველის ფონდის მიერ გაცემული დოქტორანტის გრანტით სარგებლობას და სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობას. დავით ლორთქიფანიძე წერილში მიუთითებს, რომ ახლად არჩეული დირექტორატის გადაწყვეტილებით, გ.ბ.-ს, როგორც სხვა გათავისუფლებულ თანამშრომლებს, მათ შორის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტიორებს, საშუალება არ ეძლეოდათ შემოსულიყვნენ ეროვნულ მუზეუმში და განეხორციელებინათ ხელშეკრულების ფარგლებში აღებული სამეცნიერო ვალდებულებები. ხოლო, 2023 წლის თებერვლიდან გ.ბ.-ს და სხვა მეცნიერებს ხელი აღარ ეშლებათ სამუშაო ოთახში შესვლაზე, სპეციალური საშვის საშუალებით.

განმცხადებლის შესაძლო დისკრიმინაციასთან დაკავშირებით, დავით ლორთქიფანიძე განმარტავს, რომ გ.ბ.-მ არაერთხელ მიმართა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, ოროზმანში გეგმით გათვალისწინებული არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვისთვის, თუმცა, მას პასუხი არ მიუღია. შესაბამისად, 2023 წელს, გ.ბ.-ის დოქტორანტის გრანტით აღებული ვალდებულება ვერ შესრულდა და მისი პროექტის განხორციელებას პრობლემა შეექმნა.

დავით ლორთქიფანიძე ხაზს უსვამს, რომ 2023 წლის 5 ივლისს, წერილით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს მიმართა, რათა გაეცათ ნებართვა დმანისის რაიონში, სოფელ ოროზმანში, გ.ბ.-ს გაეგრძელებინა არქეოლოგიური სამუშაოები. დავით ლორთქიფანიძის თქმით, სამწუხაროდ, ეროვნული სააგენტოდან პასუხი არ მიუღია და მეტიც, გ.ბ.-მ ვერ შეასრულა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო ხელშეკრულების გეგმა-გრაფიკის მეოთხე პერიოდით გათვალისწინებული ამოცანა ("მეოთხე საანგარიშო პერიოდი ჩატარდება არქეოლოგიური გათხრები ოროზმანის ძეგლზე“), რასაც ადასტურებს დანართად წარმოდგენილი შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წერილი. წერილში მითითებულია, რომ ფონდმა გრანტიორს გონივრული ვადა მისცა ამ ხარვეზის გამოსასწორებლად.

დავით ლორთქიფანიძე დამატებით აღნიშნავს, რომ განმცხადებელს 20 წელზე მეტია იცნობს და გ.ბ. ჩამოყალიბდა მაღალი კლასის პროფესიონალად. დავით ლორთქიფანიძეს მიაჩნია, რომ გ.ბ. უნდა მუშაობდეს ეროვნულ მუზეუმში და გააგრძელოს პროფესიული საქმიანობა, მათ შორის აწარმოოს არქეოლოგიური კვლევები ოროზმანის ძეგლზე. მისი განმარტებით, გ.ბ.-ს, როგორც მეცნიერის უფლებები შეილახა და ეს აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

3. სამართლებრივი შეფასება

3.1. ზოგადი დებულებები

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა-პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას[23]. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „კანონის წინაშე თანასწორობის უფლება არ გულისხმობს, ბუნებისა და შესაძლებლობის განურჩევლად, ყველა ადამიანის ერთსა და იმავე პირობებში მოქცევას. მისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნის ვალდებულება, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისთვის არსებითად თანასწორთ შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწოროებს - პირიქით[24].“

საქართველოში თანასწორობის უფლების დაცვის თვალსაზრისით არსებითია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად[25].

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება ***საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ,*** არ

---

[23] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის N1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე: მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ნაწ. II, პარ. 1.

[24]იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ, ნაწ. II, პარ. 2.

[25] იხ. საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი.

არსებობს ***კანონით განსაზღვრული მიზანი,*** განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ***ობიექტური და გონივრული გამართლება*** და იგი ***დასახული მიზნის არათანაზომიერია.***

ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ ***განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.*** განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას ***არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება,*** ე. ი. ***არ ისახავს კანონიერ მიზანს*** და არ არსებობს ***პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის***[26].

3.2. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომელთა სარგებლობაშიც განმცხადებელს ხელი შეეშალა

დისკრიმინაციის ფაქტის შეფასებისას, თავდაპირველად, საჭიროა განისაზღვროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომლით სარგებლობისას შესაძლოა პირს ხელი შეშლოდა.

საქმეში არსებული გარემოებების მიხედვით, სახალხო დამცველი შეაფასებს პიროვნების თავისუფალი განვითარების, პირადი ცხოვრების უფლების დაცვის და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაუცემლობის კანონიერების საკითხს. კერძოდ, წინამდებარე გადაწყვეტილებაში, შეფასდება განსხვავებული მოსაზრების გამო 2022 წლის პირველი ივნისიდან - 2023 წლის თებერვლამდე, განმცხადებლისთვის ეროვნული მუზეუმის სამუშაო ოთახებში დაშვებაზე უარის თქმა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხრიდან არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაუცემლობის საკითხები.

აღსანიშნავია, რომ განმცხადებელს 2023 წლის თებერვლიდან ხელი არ ეშლება ეროვნული მუზეუმის სამუშაო ოთახებში დაშვებაზე. თუმცა, სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, შეაფასოს კონკრეტულ პერიოდში განმცხადებლისთვის კვლევითი-საქმიანობის შეფერხება ნაკარნახევი იყო თუ არა დისკრიმინაციული მოტივაციით, რამდენადაც, არქეოლოგიური გათხრების განსახორციელებლად ნებართვის მიუღებლობა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესრულება ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია, რამაც განმცხადებელი განგრძობადად დისკრიმინაციულ ვითარებაში ჩააყენა.

3.2.1. პიროვნების თავისუფალი განვითარების და პირადი ცხოვრების უფლებები

---

[26] ECtHR, *Eweida and others v. United Kingdom,* nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, § 87-88; *Burden v. United Kingdom*, no: 13378/05, 29/04/2008, § 60.

საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით გარანტირებულია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, „პირველ რიგში, გულისხმობს ადამიანის პიროვნული თვითგამორკვევისა და ავტონომიურობის უფლებას. სწორედ პიროვნულობა განსაზღვრავს ადამიანის არსს, მიუთითებს მის ინდივიდუალურ და სხვებისგან განმასხვავებელ მახასიათებლებზე“[27]. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს პიროვნების მოქმედების ზოგად თავისუფლებას.[28] პირის ნებისმიერი მოქმედება და საქმიანობა, რომელიც არ მიეკუთვნება მისი პირადი ცხოვრების სფეროს და არ ხვდება ზოგადი პიროვნული უფლებით დაცულ სფეროში, დაცულია საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებით, რომელიც ერთნაირად იცავს აქტიურ და პასიურ მოქალაქეებს. ის არის ყოველი ადამიანის კერძო ინიციატივისა და საქმიანობის წამოწყების საფუძველი[29].

ადამიანის პიროვნების თავისუფალი განვითარების გარეშე შეუძლებელია საზოგადოებრივი პროგრესი, თითოეული ადამიანის პიროვნული ბედნიერება. ადამიანის პიროვნების თავისუფალი განვითარება უზრუნველყოფს მისი ნიჭის, პიროვნული შესაძლებლობებისა და უნარის განვითარებას *და, ამ თვალსაზრისით, იგი ადამიანის ღირსების უფლების განუყოფელი ნაწილია.* შესაძლებლობების განვითარებით, ცოდნის მიღებით, გარესამყაროსთან მისი ურთიერთქმედების შედეგად ყალიბდება ადამიანი თავისუფალ პიროვნებად, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა[30].

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით კი დაცულია ადამიანის პირადი ცხოვრების უფლება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთგზის მიუთითა, რომ პირადი ცხოვრების უფლება მოიცავს პროფესიული და კომერციული აქტივობების განხორციელების უფლებასაც. ძალზე შეზღუდული იქნებოდა [პირადი ცხოვრების] ცნების „შიდა წრით“ შემოფარგვლა, რომელშიც ინდივიდს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი სურვილისამებრ არჩეული თავისი ცხოვრება და მისგან გამორიცხავდეს გარე სამყაროს, რომელიც არ შედის ამ წრეში. პირადი ცხოვრების პატივისცემა ასევე უნდა მოიცავდეს, გარკვეულ ფარგლებში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების უფლებას. ამასთან, არანაირი პრინციპული მიზეზი არ არსებობს, რომ „პირადი ცხოვრებიდან“ გამოირიცხოს პროფესიული თუ

---

[27] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება N 2/1/536,II, § 54.
[28] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება N 2/1/536, II, 55.
[29] იხ. კ. კუბლაშვილი, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბილისი, 2017, გვ. 89-90.
[30] იხ. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი,2013 წ, გვ. 88.

კომერციული აქტივობები. ადამიანთა უმრავლესობას გარესამყაროსთან ურთიერთობის დამყარების მაქსიმალური შესაძლებლობა სწორედ მუშაობის დროს აქვს[31].

შესაბამისად, ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი, რომელიც პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიაა, არ შემოიფარგლება მხოლოდ „შიდა წრით", არამედ მოიცავს გარე სამყაროს ჩართულობას ამ სფეროში, კერძოდ, გარკვეულ ფარგლებში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების უფლებას.

გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ზრუნავს ეროვნული ფასეულობების და თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე. მე-20 მუხლის თანახმად, კი შემოქმედების თავისუფლება დაცულია და შემოქმედებით საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე. კულტურული მემკვიდრეობა დაცულია კანონით.

განხილვის შემდეგ ეტაპებზე, სახალხო დამცველი შეაფასებს შესადარებელი პირების არსებობის საკითხს, უფლებაში ჩარევის ლეგიტიმურ მიზანს და მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალების თანაზომიერებას.

3.3. კომპარატორი-შესადარებელი სუბიექტი

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელი წინაპირობაა კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები[32]. ამასთან, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ დისკრიმინაციის შემთხვევაში განსხვავებული მოპყრობა უნდა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ[33].

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელი, ყველა იმ სამეცნიერო პროექტის მონაწილე პირთან მიმართებით იმყოფებოდა არახელსაყრელ/უთანასწორო მდგომარეობაში, რომლებთან მიმართებითაც ეროვნული მუზეუმის დირექტორატმა მიიღო გადაწყვეტილება, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის

---

[31] იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *ECtHR, Niemietz v. Germany* , no. 13710/88, 16/12/1992, § 29.

[32] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536, II, 19.

[33] იხ. ECtHR, D.H. and Others v. the Czech Republic [GC], no. 57325/00, 13/11/2007, § 175.

განხორციელების მიზნით დაეშვა ეროვნულ მუზეუმში. ხოლო, ნებართვის გაცემის საკითხთან მიმართებით, განმცხადებელი არახელსაყრელ/უთანასწორო მდგომარეობაში იმყოფება ყველა იმ პირთან მიმართებით, რომელთა მიმართაც, 2023 წლის 29 მაისის შემდეგ, არქეოლოგიური კომისიის მხრიდან, გათხრებზე გაიცა ნებართვები.

3.4. ლეგიტიმური მიზანი და განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად, თუ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და გამოყენებული საშუალება დასახული მიზნის თანაზომიერია. **უფლების შეზღუდვის გასამართლებლად, უპირველეს ყოვლისა, უნდა არსებობდეს ლეგიტიმური მიზანი.** საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, **„ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელი, არაკონსტიტუციურია“[34].**

სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის პირველ მოადგილეს, მუზეუმთა ჯგუფის დირექტორს, ნიკა ახალბედაშვილს, არ წარმოუდგენია ინფორმაცია თუ რატომ არ ხდებოდა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად და სამუშაო ოთახებში დაშვებაზე თანხმობის წერილის მიუხედავად, განმცხადებლის, **2022 წლის პირველი ივნისიდან - 2023 წლის თებერვლამდე,** ეროვნულ მუზეუმში დაშვება. ამასთან, არსებითია აღინიშნოს, რომ მოპასუხეებმა არ წარმოადგინეს მათი პოზიცია განმცხადებლების შესაძლო დისკრიმინაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, ზოგადად მიუთითეს, რომ განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს, რაც ასევე არ ადასტურებს სამინისტროს (სამინისტროს სისტემის) მხრიდან მის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტს. აქვე, ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერი უფლების აღიარება აზრს დაკარგავს მასზე თანაბარი წვდომის გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე. ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან[35]. თანასწორობის იდეა ემსახურება ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისთვის ერთნაირი შესაძლებლობის გარანტირებას[36].

---

[34] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება; დამატებით, იხ. №1/5/1271 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება N3/1/531, II, 15.

[35] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N 1/1/539, II, 2;
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534, II, 3.

[36] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493, II, 1.

სამწუხაროდ, მოპასუხეებს არც კი უცდიათ დაესახელებინათ ლეგიტიმური მიზანი, რომელიც განსხვავებულ მოპყრობას გაამართლებდა და სახალხო დამცველს მისცემდა შესაძლებლობას, ემსჯელა ლეგიტიმური მიზნისა და განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლების დასაბუთებულობის საკითხზე. შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს; მაშასადამე, დისკრიმინაცია არის მხოლოდ თვითმიზნური, გაუმართლებელი დიფერენციაცია, სამართლის დაუსაბუთებელი გამოყენება კონკრეტულ პირთა წრისადმი განსხვავებული მიდგომით. შესაბამისად, თანასწორობის უფლება კრძალავს არა დიფერენცირებულ მოპყრობას ზოგადად, არამედ მხოლოდ თვითმიზნურ და გაუმართლებელ განსხვავებას[37].

განსახილველ საქმეში, მოპასუხეებმა არ წარმოადგინეს ლეგიტიმური მიზანი, რომელიც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე წარმოშობილ დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდს გააქარწყლებდა. საგულისხმოა, რომ დისკრიმინაციული მოპყრობის შემთხვევებთან მიმართებით კანონმდებლობა ექსპლიციტურად განსაზღვრავს მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხს. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირმა საქართველოს სახალხო დამცველს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს ეკისრება ლეგიტიმური მიზნის წარმოდგენის და განსხვავების პროპორციულობის მტკიცების ტვირთი. ამდენად, სავარაუდო დისკრიმინაციის ჩამდენმა უნდა დაამტკიცოს, რომ მისი მხრიდან დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონია.

საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე, სახალხო დამცველს წარმოეშვა დისკრიმინაციის ვარაუდი, რის შემდგომაც მოპასუხეებზე გადავიდა ტვირთი, რომ წარმოედგინათ დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდის გამაქარწყლებელი არგუმენტები და მტკიცებულებები. რამდენადაც, განმცხადებლის მიერ საქართველოს სახალხო დამცველისთვის დისკრიმინაციის ფაქტის დასადასტურებლად წარმოდგენილი ფაქტების უარყოფის მიზნით, მოპასუხეებს წონადი არგუმენტები არ წარმოუდგენიათ, სახალხო დამცველი გადაწყვეტილების მიზნებისთვის მხოლოდ მოპასუხეთა მიერ წარმოდგენილი ზოგადი პასუხებითა და განმცხადებლის პოზიციით და მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით იხელმძღვანელებს.

უდავოა, რომ განმცხადებლის კვლევამ გაიმარჯვა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო

---

[37] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/493, II, 3.

კონკურსში და მოიპოვა დაფინანსება. ასევე, უდავოა, რომ განმცხადებელი ვერ ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებს, რამდენადაც 2022 წლის პირველი ივნისიდან - 2023 წლის თებერვლამდე, არ ხდებოდა მისი ეროვნულ მუზეუმში დაშვება, ხოლო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მხრიდან, ამ დრომდე არ გაცემულა გათხრებზე ნებართვა. შესაბამისად, განმცხადებელს ხელი ეშლება ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გაცემული დოქტორანტის გრანტით სარგებლობასა და სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობაში.

ზოგადად, დაშვების საკითხთან დაკავშირებით, არსებითია აღინიშნოს, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული მუზეუმის დებულების დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 18 ივნისის N110/ნ ბრძანებაში შესული ცვლილებები, რომლის თანახმად, მუზეუმთა გაერთიანებაში შემავალ სამუზეუმო ფონდში კვლევითი საქმიანობით დაინტერესებული ნებისმიერი პირი მხოლოდ დირექტორატის გადაწყვეტილებით დაიშვება. დირექტორატის გადაწყვეტილების შესახებ კი სამინისტროსაც უნდა ეცნობოს. **განმცხადებლის განმარტებით, 2022 წლის პირველი ივნისიდან - 2023 წლის თებერვლამდე,** სწორედ სამინისტროს სისტემის ფარგლებში არსებული ამ მექანიზმით არ ჰქონდა დაშვება ეროვნული მუზეუმის სამუშაო ოთახებში, რათა ემუშავა მისი ხელმძღვანელობით მოპოვებულ ოროზმანის არქეოლოგიურ მასალაზე. შესაბამისად, ის ვერ ახერხებდა რუსთაველის ფონდის მიერ გაცემული დოქტორანტის გრანტით სარგებლობას და სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობას.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნულ ბრძანებაში განხორციელებულ ცვლილებები უკვე შეფასებულია ეროვნული მუზეუმიდან გათავისუფლებული თანამშრომლების სხვა საქმეზე, რომელზეც, 2022 წლის 26 ოქტომბერს, სახალხო დამცველმა კულტურის მინისტრს და სსიპ ეროვნული მუზეუმის დირექტორატის წევრებს დისკრიმინაციის დადგენის შესახებ რეკომენდაციით მიმართა[38]. სახალხო დამცველმა განმარტა, რომ მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა კონკურსში განმცხადებელთა პროექტის გამარჯვების შესახებ, მინისტრმა ეროვნული მუზეუმის დებულებაში შესული ცვლილებების გზით შექმნა განმცხადებელთა კვლევითი პროექტიდან ჩამოშორების მექანიზმი, ხოლო დირექტორატმა აღასრულა დისკრიმინაციული განზრახვა. სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ განხორციელებული ცვლილებები მიანიშნებდა, რომ მინისტრს არ სურდა განმცხადებლების პროექტს დაფინანსება მიეღო და შემუშავდა იმდაგვარი საკანონმდებლო რეგულირება, რომელმაც დირექტორატს მიანიჭა როგორც საგრანტო თანხის გამოთხოვის, ასევე მუზეუმის ფონდებში მკვლევრების დაშვების უფლებამოსილება. სახალხო დამცველმა განმარტა, რომ ასეთი დამოკიდებულება არ მიანიშნებდა უწყების მიუკერძოებელ და კეთილსინდისიერ

[38] იხ. სახალხო დამცველის რეკომენდაცია კულტურის მინისტრს და სსიპ ეროვნული მუზეუმის დირექტორატის წევრებს განსხვავებული მოსაზრების ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ, 2022 წლის 26 ოქტომბერი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3IqejJH

მოქმედებაზე და წარმოაჩენდა მათ თვითმიზანს, ხელი შეშლოდა განმცხადებლების სამეცნიერო საქმიანობას და არ შესძლებოდათ გამარჯვებული პროექტის განხორციელება.

განსახილველ საქმეში, სახალხო დამცველი, დისკრიმინაციული მოპყრობის შესაფასებლად, არსებითად მნიშვნელოვნად მიიჩნევს ხაზი გაუსვას იმ ფაქტს, რომ დაშვებაზე ხელის შეშლას ადასტურებს თავად ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი, დავით ლორთქიფანიძე, რომელიც განმარტავს, რომ ახლად არჩეული დირექტორატის გადაწყვეტილებით, გ.ბ.-ს, როგორც სხვა გათავისუფლებულ თანამშრომლებს, მათ შორის, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტიორებს, საშუალება არ ეძლეოდათ შემოსულიყვნენ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში და განეხორციელებინათ ხელშეკრულების ფარგლებში აღებული სამეცნიერო ვალდებულებები. აქვე, აღსანიშნავია, რომ, სხვადასხვა მტკიცებულებასთან ერთად *(ქრონოლოგიურად, მითითებულია ფაქტობრივ გარემოებებში.)* დაშვებაზე ხელის შეშლის დასადასტურებლად განმცხადებელს წარმოდგენილი აქვს არაერთი წერილი - გაგზავნილი ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის პირველ მოადგილის, მუზეუმთა ჯგუფის დირექტორის, ნიკა ახალბედაშვილის სახელზე, ასევე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ნიკოლოზ აზნაურაშვილის სახელზე; თუმცა, აღნიშნული წერილები ყოველ ჯერზე უპასუხოდ დარჩა. გარდა ამისა, განმცხადებელმა სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგინა დავით ლორთქიფანიძის 2023 წლის 5 ივლისის წერილი, რომლის საფუძველზეც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს მიმართა (არქეოლოგიურ გათხრებზე ნებართვის გაცემაზე), თუმცა, ეროვნული სააგენტოდან პასუხი საერთოდ არ მიუღია. განმცხადებლისთვის ხელის შეშლას ასევე ადასტურებს საქმის მასალებში არსებული შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წერილი. წერილში მითითებულია, რომ ფონდმა გრანტიორს გონივრული ვადა მისცა საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ხარვეზის გამოსასწორებლად (რაც ეროვნული მუზეუმმა, დაშვებაზე თანხმობის წერილის გაცემის მიუხედავად, არ შეასრულა და განმცხადებლის საგრანტო ხელშეკრულებით გაწერილი გრაფიკით შესასრულებელი სამუშაოების ვადების დარღვევა გამოიწვია).

ამდენად, სახალხო დამცველის შეფასებით, სსიპ - საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, 2022 წლის პირველი ივნისიდან - 2023 წლის თებერვლამდე, სამუშაო ოთახებში დაშვებაზე უარი განმცხადებლის პიროვნების თავისუფალი განვითარების და პირადი ცხოვრების უფლებებში დაუსაბუთებელი და უკანონო ჩარევაა. შესაბამისად, **სახეზეა** განმცხადებლის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში **დისკრიმინაციული საფუძვლებით** ხელის შეშლა.

3.4.1. არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაუცემლობის კანონიერება

რაც შეეხება არქეოლოგიურ გათხრებზე ნებართვის გაუცემლობის კანონიერების საკითხს, სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის

მოთხოვნასთან დაკავშირებით განმცხადებელს **სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსგან პასუხი 5 თვის განმავლობაში არ მიუღია**[39]. განმცხადებელი აღნიშნულს დისკრიმინაციული მოპყრობის დადასტურების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად განსაზღვრავს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, გ.ბ.-ის მომართვის[40] საფუძველზე, 2023 წლის 10 აგვისტოს N04-11/7926 წერილით მიმართა სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს და სთხოვა ინფორმაციის მოწოდება განმცხადებლის 2023 წლის 29 მაისის, 22 ივნისისა და 17 ივლისის განცხადებების განხილვის შედეგებთან დაკავშირებით. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 13 ნოემბრის N02/4425 თანახმად, სააგენტო თვითონ გეგმავს დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვემო ოროზმანში მდებარე, სააგენტოს სარგებლობაში არსებული ტერიტორიის არქეოლოგიურ შესწავლას და შემდგომ მის განვითარებას; სააგენტო გამოთქვამს მზადყოფნას, ითანამშრომლოს საკითხით დაინტერესებულ ნებისმიერ პირთან, მათ შორის არქეოლოგებთან, რომლებსაც სურვილი ექნებათ სააგენტოსთან ერთად მონაწილეობა მიიღონ არქეოლოგიურ სამუშაოებში. როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს პოზიცია გ.ბ.-ს 27 სექტემბრის N02/3630 წერილით გაეგზავნა.

განმცხადებლის მიერ სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი ინფორმაციიდან და დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ 2021 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსში გამარჯვების საფუძველზე, 2021 წლის 01 ნოემბერს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, გ.ბ.-ს და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის. საგრანტო ხელშეკრულებით, გრანტის მიმღები ვალდებულია განახორციელოს კვლევითი პროექტი „ოროზმანი, ახალი ადრე პლეისტოცენური არქეოლოგიური ძეგლი საქართველოში“. პროექტის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს გეოლოგიური კვლევებისა და არქეოლოგიური გათხრების ჩატარებას ოროზმანსა და მიმდებარე ტერიტორიაზე[41]. ამავე ხელშეკრულების თანახმად, სასწავლო-კვლევითი გრანტით დაფინანსების, შესაბამისად პროექტის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა[42].

---

[39] **შენიშვნა:** განმცხადებელმა სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს 2023 წლის 29 მაისს მიმართა, ხოლო განცხადებაზე პასუხი, არაერთი მიმართვის შემდეგ, 2023 წლის 31 ოქტომბერს ჩაბარდა, თავად წერილი 2023 წლის 27 სექტემბრით თარიღდება.

[40] გ.ბ.-ის N9386/23, განცხადება.

[41] სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის 23.03.2023, MES 6 23 00განცხადებები: N - 00332891 წერილი სსიპ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს.

[42] 2021 წლის 1 ნოემბერის საგრანტო ხელშეკრულება #PHDF-21-1825, 4.1.“ბ“ პუნქტი.

სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული განმარტების თანახმად[43], **დაგეგმილ კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანის ევოლუციის შესწავლისთვის და დიდ საერთაშორისო ინტერესს იწვევს,** მასში მონაწილეობენ მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო ცენტრები, სააგენტოს მხრიდან ნებართვის გაუცემლობის შედეგად კი, გ.ბ.-მ ვერ შეასრულა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო ხელშეკრულების გეგმა გრაფიკის მეოთხე პერიოდით გათვალისწინებული ამოცანა და მისი პროექტის განხორციელებას პრობლემა შეექმნა.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების სამართლებრივი საფუძველია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვა[44]. ნებართვა გაიცემა საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების დასრულებისათვის საჭირო ვადით, სამუშაოთა მოცულობის, სირთულის, გარემო პირობების, ასევე ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკის გათვალისწინებით[45]. არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის მაძიებელი შეიძლება იყოს შესაბამისი მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ან მის მიერ უფლებამოსილი პირი[46]. არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებაზე უფლებამოსილია მხოლოდ ამ სფეროში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი[47].

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი[48] და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი[49] განსაზღვრავს არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის მისაღებად წარსადგენ განცხადებასა და დოკუმენტაციას. **ამასთან, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად[50], ნებართვის გამცემი ვალდებულია ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს განცხადების წარდგენიდან 20 დღის ვადაში.** თუ აღნიშნულ ვადაში არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის ან ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, ნებართვა გაცემულად ჩაითვლება და ნებართვის მაძიებელი უფლებამოსილია ნებართვის გაცემისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოითხოვოს სანებართვო მოწმობა, ხოლო ნებართვის გამცემი ვალდებულია დაუყოვნებლივ გასცეს სანებართვო მოწმობა. ამავე კანონით ამომწურავად არის გაწერილია ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები[51]. კანონის

---

[43] სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის N01/222 - 09.02.2024 წერილი.
[44] იხ. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 47, პუნქტი 5.
[45] იქვე, პუნქტი 6.
[46] იქვე, პუნქტი 7.
[47] იქვე, პუნქტი 9.
[48] იქვე, თავი IX.
[49] იქვე, მუხლი 25.
[50] იხ. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 26, პუნქტები 10 და 11.
[51] იქვე, მუხლი 27, ნებართვის გამცემი არ გასცემს ნებართვას თუ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში არ იქნა გამოსწორებული ნებართვის მაძიებლის მიერ; ნებართვის მაძიებელი ვერ აკმაყოფილებს კანონით ან კანონის

მიხედვით[52], ნებართვის გაცემის, მის გაცემაზე უარის თქმის ან მისი გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტია და უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტისთვის დადგენილ მოთხოვნებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი კი ადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმასა და რეკვიზიტებს[53]. კანონი ასევე განსაზღვრავს აქტის წერილობითი დასაბუთების ვალდებულებას და განმარტავს, რომ ასეთი დასაბუთება წინ უნდა უძღოდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილს[54]. გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტი კიდევ უფრო მაღალია ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილებების ფარგლებში მოქმედებისას, რაც გულისხმობს ორგანოს ვალდებულებას წერილობით დასაბუთებაში მიუთითოს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემისას[55].

როგორც უკვე აღინიშნა, გ.ბ.-ს მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ, სსიპ -საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 27 სექტემბრის N02/3630 წერილით ეცნობა, რომ სააგენტო თავად გეგმავს დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვემო ოროზმანში მდებარე, სააგენტოს სარგებლობაში არსებული ტერიტორიის არქეოლოგიურ შესწავლას და შემდგომ მის განვითარებას.

აღნიშნული წერილის შინაარსიდან, ირიბად იკვეთება სააგენტოს პოზიცია განმცხადებლის მოთხოვნასთან დაკავშირებით. თუმცა, დოკუმენტი **არ აკმაყოფილებს** კანონმდებლობით გაწერილი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისთვის დადგენილ და ზემოთ მითითებულ მოთხოვნებს. იგი არ შეიცავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისთვის დადგენილ რეკვიზიტებს, მათ შორის, აქტის სახეს, სათაურს, გამოცემის დროსა და ადგილს, მითითებას იმ ორგანოზე რომელშიც შეიძლება აქტის გასაჩივრება, მის მისამართსა და საჩივრის წარდგენის ვადას; გარდა ამისა, შინაარსობრივად წერილი არ სახავს ადმინისტრაციული ორგანოს რაიმე სახის დასაბუთებასა და არგუმენტაციას, არათუ დაცულია დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში დასაბუთების სტანდარტი; არ არის მითითებული საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან შესაბამისი ნორმა რასაც დაეყრდნო ადმინისტრაციული ორგანო.

საფუძველზე საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილ სანებართვო პირობებს; ნებართვის მაძიებელს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით ჩამორთმეული აქვს შესაბამის სანებართვო სფეროში საქმიანობის უფლება.

[52] იქვე, მუხლი 26, პუნქტი 3.

[53] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლები 51-52.

[54] იქვე, მუხლი 53, პირველი და მეორე ნაწილები.

[55] იქვე, ნაწილი 4.

ამდენად, სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 27 სექტემბრის N02/3630 წერილი ვერ პასუხობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისთვის დადგენილ მოთხოვნებს. ამასთან, გასათვალისწინებელია კანონმდებლობის ზემოთ მითითებული კონკრეტული და ამომწურავი შეზღუდვა, თუ რა შემთხვევაშია არ გაიცემა ნებართვა. სააგენტოს აღნიშნული **წერილი არ იძლევა არც ამ საფუძვლების არსებობისა და გადამოწმების შესაძლებლობას. ასევე, საგულისხმოა, რომ განმცხადებლისთვის არცერთ ეტაპზე არ გამხდარა ცნობილი სააგენტოს მხრიდან რაიმე სახის ხარვეზის დადგენისა და მისი გამოსწორების საჭიროებაზე.**

გარდა ზემოაღნიშნული სამართლებრივი გარემოებებისა, სახალხო დამცველს სურს, ყურადღება გაამახვილოს, განსახილველი საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით, მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე.

2019 წლიდან მოყოლებული ოროზმანში ექსპედიციამ, რომელსაც განმცხადებელი, გ.ბ. ხელმძღვანელობდა, არქეოლოგიური გათხრების შედეგად ისტორიული მნიშვნელობის სხვადასხვა არტეფაქტი აღმოაჩინა[56]. ხოლო, 2022 წელს, ოროზმანში, დაახლოებით **1.8 მილიონი წლის წინანდელი ადამიანის კბილი იქნა აღმოჩენილი.** აღნიშნული კი ადამიანის ევოლუციის შესახებ უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას ასახავს. ეს აღმოჩენა როგორც ეროვნული, ისე მსოფლიო მნიშვნელობისაა და ამ ფაქტს არაერთი საერთაშორისო გამოხმაურებაც მოჰყვა[57].

გ.ბ.-ის განმარტებით, გარდა იმისა, რომ ნებართვის გაუცემლობით, ერთი მხრივ, ხელი ეშლება სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში (მათ შორის, აღებული საგრანტო ვალდებულებების გათვალისწინებით), ასევე, ზიანდება ოროზმანის უნიკალური ძეგლი, ვინაიდან, აუცილებელია არქეოლოგიური სამუშაოების დროულად წარმართვა, რაშიც მას უკვე შეეშალა ხელი. მისივე მითითებით, თუკი დაუყოვნებლივ არ ჩატარდება არქეოლოგიური კვლევები და არ მოხდება ძვლოვანი, ბიოლოგიური მასალისა და არტეფაქტების ამოღება, გამოუსწორებელი ზიანი დადგება; **ექსპედიციის დაწყების არაერთი თვით დაყოვნებამ უკვე გამოიწვია ზიანი, ვინაიდან, გათხრები გაჩერდა homo - ადამიანის ფენაში, არქეოლოგიური ფენებიდან**

---

[56] ვრცლად, იხ. ბმული: <https://nationalgeographic.ge/story/adamis-kbili-orozmanidan/>.

[57] მაგალითად, იხ. ბმულები: <https://www.reuters.com/lifestyle/oddly-enough/georgian-archaeologists-find-18-million-year-old-human-tooth-2022-09-09/>; <https://www.bbc.co.uk/programmes/p0d0j80j>; <https://www.usatoday.com/story/news/world/2022/09/09/ancient-human-tooth-found-georgia/8036539001/ >; <https://www.sacbee.com/news/nation-world/world/article265554096.html >; <https://www.dw.com/en/archaeologists-find-18-million-year-old-human-tooth-in-georgia/a-63071543 >; ასევე, იხ. კონფერენციის „Paleoanthropology Society 2023 Annual Meeting At Portland" პრეზენტაცია "Kvemo Orozmani, Georgia: A new Lower Paleolithic archaeological site in the southern Caucasus" ბმულზე: <https://www.researchgate.net/publication/371417267_Kvemo_Orozmani_Georgia_A_new_Lower_Paleolithic_archaeological_site_in_the_southern_Caucasus>.

ბუნებრივი გამოფიტვის გამო უკვე ჩამოიყარა 1.8 მილიონი წლის ძვლები და არტეფაქტები, არის მაღალი ალბათობა იმისა, რომ ევრაზიის უძველესი ადამიანის სხვა ნაშთები, რომლებიც ფენებშია - ჩამოიყაროს და განადგურდეს, ფენებიდან ამოსაღებია პალეონტოლოგიის ისტორიაში ერთადერთი ეტრუსკული მგლის - Canis etruscus სრულად შენარჩუნებული ჩონჩხი, რომლის მუცლის არეშიც შენარჩუნებული 1.8 მილიონი წლის ბიოლოგიური მასალა და მცენარეთა მტვერი და მისი ანალოგი არ არსებობს.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, **სოციალური სახელმწიფოს პრინციპი გულისხმობს, რომ სახელმწიფო ზრუნავს ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე**[58]. ამასთან, კულტურული მემკვიდრეობა დაცულია კანონით[59], ხოლო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილს წარმოადგენენ არქეოლოგიური ობიექტები[60].

არქეოლოგიური სამუშაოები ისეთი სამეცნიერო საქმიანობაა, რომელიც მიმართულია არქეოლოგიური ობიექტების გამოსავლენად და შესასწავლად; აღნიშნული არქეოლოგიური ობიექტის მოკვლევის, გათხრის, რესტავრაცია-კონსერვაციისა და მეცნიერული შესწავლის სრულ ციკლს გულისხმობს[61]. სწორედ, გათხრები ემსახურება არქეოლოგიური ობიექტების გამოვლენასა და მეცნიერულ შესწავლას და ამ მიზნით შესაბამისი სამუშაოების ჩატარებას მოიცავს[62].

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი არქეოლოგიური სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის თანახმად, დაგეგმილი სამუშაოების მიზანს წარმოადგენს არქეოლოგიური ობიექტის გათხრა, რაც ინფორმაციის მოპოვებისა და ობიექტის შესწავლის საშუალებას იძლევა. აღნიშნული გზით მიღწეული იქნება მიზანი ევრაზიის უძველესი მაცხოვრებელი ჰომინიდების შესახებ მეტი ინფორმაციის მოპოვებისა და სამეცნიერო პუბლიკაციებსა და ექსპედიციის ხელმძღვანელის სადოქტორო დისერტაციაში ასახვის თვალსაზრისით. საპროექტო დოკუმენტაცია ასევე მოიცავს ინფორმაციას სამუშაოების ხასიათისა და გეგმა-გრაფიკის შესახებ, მათ შორისაა: ველის მომზადება, გათხრების სტრატეგიის დაზუსტება, გათხრების ჩატარება, კონსერვაცია, აღმოჩენილი მასალის გასუფთავება, კონსერვაცია, შესწავლა და დაბინავება.

ამასთან, „არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ **ევროპული კონვენცია იცავს არქეოლოგიურ მემკვიდრეობას, როგორც ევროპული კოლექტიური მეხსიერების წყაროს და როგორც ისტორიული და სამეცნიერო კვლევის ინსტრუმენტს.** ყველა ნაშთი, საგანი და კაცობრიობის ნებისმიერი სხვა კვალი წარსულიდან მიჩნეულია არქეოლოგიური

---

[58] იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 5, პუნქტი 6.
[59] იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 20, პუნქტი 4.
[60] იხ. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3, ქვეპუნქტი „ლ.ა“.
[61] იქვე, მუხლი 3, პუნქტი „გ“.
[62] იქვე, „ე“ პუნქტი.

მემკვიდრეობის ელემენტებად, რომელთა დაცვა და შესწავლა საშუალებას იძლევა ჩამოყალიბდეს კაცობრიობის განვითარების და მისი ბუნებრივ გარემოსთან ურთიერთობის ისტორია, ინფორმაციის ძირითად წყაროს კი წარმოადგენს გათხრები და აღმოჩენები[63]. ცალსახაა, არქეოლოგიის მნიშვნელობიდან გამომდინარე არაერთი მიმართულებით არსებული საზოგადოებრივი სარგებელი[64].

ყოველივეს გათვალისწინებით, ვინაიდან, ერთი მხრივ, სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 27 სექტემბრის N02/3630 წერილი არ პასუხობს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე, ასევე, განმცხადებლისთვის არ მომხდარა რაიმე სახის ხარვეზის დადგენა მისი მიმართვების განხილვის პროცესში, ამასთან, მეორე მხრივ, სახეზეა მაღალი საჯარო ინტერესი ოროზმანში არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით, **სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ კანონმდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე უნდა გასცეს არქეოლოგიური სამუშაოების სანებართვო მოწმობა.** გარდა კანონმდებლობის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა, აღნიშნულით სახელმწიფო ხელს შეუწყობს როგორც განმცხადებლის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის წარმართვას, ასევე, ეს გადაწყვეტილება თანხვედრაში იქნება არქეოლოგიური ობიექტების გამოვლენისა და დაცვის მაღალ საჯარო ინტერესთან.

ასევე, როგორც აღინიშნა, განმცხადებელს ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსთვის საჭირო დოკუმენტაცია წარდგენილი აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით. ამასთან, ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს განცხადების განხილვის დამაბრკოლებელ გარემოებებზე განმცხადებლისთვის მითითება არ მიუცია და ასეთი გარემოების არსებობის შესახებ არ შეუტყობინებია; შესაბამისად, ნებართვის გაცემის კანონმდებლობით დადგენილ წესთან წინააღმდეგობრივ გარემოებებზე მითითებით, ხარვეზი არ დაუდგენია. ამასთან, განმცხადებლისთვის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ხელის შეშლა დღემდე ხორციელდება, ვინაიდან, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს, როგორც უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს, მიერ არქეოლოგიური გათხრების წარმოებაზე განმცხადებლის მოთხოვნასთან დაკავშირებით გაგზავნილი საპასუხო წერილი/დოკუმენტი არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით გაწერილ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისთვის დადგენილ და ზემოთ განხილულ მოთხოვნებს. განმცხადებელს, დასაბუთებული და კომპეტენტური გადაწყვეტილება ამ დრომდე არ ჩაბარებია. აქედან გამომდინარე, იგი ვერ ახორციელებს შოთა

---

[63] იხ. „არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ ევროპული კონვენცია, მუხლი 1.

[64] იხ. “The Benefits of Development-led Archaeology”, the European Archaeological Council, 2024, ხელმისაწვდომია: <https://zenodo.org/records/10696765>. იხ. “The Benefits of Development-led Archaeology in Europe and Beyond”, the European Archaeological Council, 2024, ხელმისაწვდომია: <https://zenodo.org/records/10696865>; ასევე, იხ. ინფორმაცია ევროპის არქეოლოგიური საბჭოს შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://www.europae-archaeologiae-consilium.org/history>.

რუსთაველის ეროვნული ფონდის საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე აღებული ვალდებულებების შესრულებას და ძეგლზე მუშაობას. ამდენად, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ქმედებები სრულად უგულებელყოფს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, ამასთან, მოპასუხე სააგენტოს ლეგიტიმური მიზანი არ დაუსახელებია, რომელიც სავარაუდო დისკრიმინაციულ მოპყრობას გააქარწყლებდა, სახალხო დამცველის შეფასებით, სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხრიდან, **იკვეთება** დისკრიმინაციული მოპყრობა.

3.5. განსხვავებული აზრის გამოხატვა, როგორც დისკრიმინაციისგან დაცული ნიშანი

დისკრიმინაციის ფაქტის არსებობისთვის, აუცილებელია, დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლი/მსხვერპლები იყოს ისეთი ნიშნის მატარებელი, რის გამოც, მას განსხვავებულად ეპყრობიან. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციად ვერ იქნება მიჩნეული, თუკი სავარაუდო მსხვერპლს/მსხვერპლებს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით განსაზღვრული მახასიათებელი არ აქვს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულია აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მე-10 მუხლით უზრუნველყოფს გამოხატვის თავისუფლებას, რომელიც მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები. აღნიშნული დათქმიდან გამონაკლისი შეიძლება იყოს მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მისი სრულფასოვანი განვითარების და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.[65] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, აზრისა და ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელება უზრუნველყოფს შეხედულებათა მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო და ინფორმირებულ მსჯელობას და შესაძლებელს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი თითოეული წევრის ჩართულობას.[66]

---

[65] იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *İ.A. v. Turkey*, 13.09.2005 პარ. 23

[66] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება II, პ.26

მითითებული მოწესრიგების საფუძველზე, უფლებით დაცულ სფეროში ექცევა აზრის, შეხედულებებისა და ინფორმაციის გავრცელება და მიღება ვერბალური, წერილობითი თუ სხვაგვარი არავერბალური ექსპრესიების მეშვეობით, მათ შორის, პოლიტიკური დისკურსის, საზოგადოებრივ მოვლენებზე კომენტირების, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების განხილვის ან მსგავს საკითხებზე დისკუსიის გზით.[67]

გამოხატვის თავისუფლება მოიცავს იმ საშუალებებსაც, რომლებიც აზრის, ინფორმაციისა და შეხედულებების გამოთქმის, გავრცელებისა და მიღებისთვის არის აუცილებელი.[68] მსგავს საშუალებებს შორისაა ინტერნეტზე დაფუძნებული გამოხატვის მეთოდები.[69] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი ინტერნეტის მნიშვნელობას გამოხატვის თავისუფლების განხორციელების თვალსაზრისით, კერძოდ, მის განსაკუთრებულ როლს ახალ ამბებზე საზოგადოების წვდომის ზრდისა და ზოგადად, ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობის მიმართულებით.[70]

ამავდროულად, უფლებით დაცულია არა მხოლოდ ის „ინფორმაცია“ და „იდეები“, რომელთაც იზიარებს საზოგადოება, არ არის შეურაცხმყოფელი, ან მისდამი ინდიფერენტული დამოკიდებულებაა, არამედ ისეთებიც, რომელიც შეურაცხყოფს, შოკის მომგვრელია და აწუხებს სახელმწიფოს ან საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფს. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობის და ფართო თვალსაწიერის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება.[71]

განმცხადებელმა არაერთხელ გააკრიტიკა საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრი - თეა წულუკიანი და სამინისტროს სისტემის ახალი ადმინისტრაციის გადაწყვეტილებები. ამასთან, განმცხადებელი გათავისუფლდა ეროვნული მუზეუმიდან და თავისი შრომითი უფლებების დასაცავად სასამართლო დავას აწარმოებს. ამასთან, 2022 წლის 7 აპრილს, განმცხადებელმა, კოლეგებთან ერთად, ეროვნული მუზეუმის თანამშრომლების ბაზაზე, საქართველოს მეცნიერების, განათლებისა და კულტურის მუშაკთა პროფესიული კავშირი (შემდგომ - პროფკავშირი) დაარსა. ასევე, აქტიურად უჭერდა მხარს

---

[67] იხ. ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), ზოგადი კომენტარი №34, მუხლი 19, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, 12 სექტემბერი 2011, CCPR/C/GC/34, პარ. 11. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3cxa2Sr > [06.05.2022]; იხ. ასევე, Dominika Bychawska-Siniarska, Protecting the Right to Freedom of Expression under the European Convention on Human Rights, A handbook for legal practitioners, Council of Europe, July 2017, p. 17, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/2XOec35 > [06.05.2020]

[68]იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის №2/6/1311 გადაწყვეტილება II.პარ.56

[69]*იქვე.* იხ. ასევე, ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), ზოგადი კომენტარი №34, მუხლი 19, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, 12 სექტემბერი 2011, CCPR/C/GC/34, პარ. 12

[70] იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Ahmet Yildirim v. Turkey*, პარ. 48

[71] იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Handyside v. the United Kingdom*, პარ. 49

სამინისტროს სისტემიდან გათავისუფლებულ კოლეგებს[72]. სახალხო დამცველი გაეცნო განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემას, სიუჟეტს, ინტერვიუების ბმულებს, ფეისბუქ პოსტებს, ელექტრონულ წერილებს, მოპასუხეებისთვის გაგზავნილ წერილებს, რაც ცალსახად მიუთითებს ***მის განსხვავებულ შეხედულებებზე;*** შესაბამისად, განმცხადებლის სამსახურიდან გათავისუფლება, მისი სასამართლო დავა, პროფკავშირების დაარსება, სამინისტროს სისტემიდან გათავისუფლებული კოლეგების მხარდაჭერა, აქციების ორგანიზება და მასში მონაწილეობა, კულტურის მინისტრის პოლიტიკის გაკრიტიკება, პეტიციებზე ხელმოწერა და სხვადასხვა პერიოდში მოსაზრებების გავრცელება მიანიშნებს, რომ იგი არ იყო ლოიალურად განწყობილი კულტურისა და სპორტის მინისტრისა და ეროვნული მუზეუმის ახალი ადმინისტრაციის მიმართ. ამდენად, უდავო ფაქტია, რომ სახეზეა განმცხადებლის განსხვავებული მოსაზრება და იგი სწორედ ამ ნიშნის საფუძველზე დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლი გახდა.

4. დასკვნა

განსახილველ შემთხვევაში, მოვლენებისა და მოქმედებების განვითარების თანმიმდევრობა ადასტურებს, რომ გამარჯვებული პროექტის ფარგლებში სსიპ - საქართველოს ეროვნულ მუზეუმში სამუშაო ოთახებში დაშვებაზე უარი, 2022 წლის პირველი ივნისიდან - 2023 წლის თებერვლამდე და სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხრიდან ნებართვის გაცემაზე განცხადების კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისა და ვადების უხეში დარღვევებით განხილვა, რაც განმცხადებელს ამ დრომდე ხელს უშლის საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაში, განპირობებულია განმცხადებლის მიერ გამოხატული განსხვავებული მოსაზრებებითა და პოზიციებით.

ასევე, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხეებმა წარმოდგენილი საპასუხო პოზიციებით ვერ დაძლიეს განმცხადებლის მიმართ მათ მიერ დისკრიმინაციის განუხორციელებლობის მტკიცების ტვირთი, შესაბამისად, განმცხადებლის

---

[72] **<u>შენიშვნა:</u>** აღნიშნული საქმის შეფასების კონტექსტში საგულისხმოა საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში, რომლის თანახმად, განსაკუთრებული სიმწვავით დადგა, შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმის შენობასა და მასში დაცულ კოლექციებთან დაკავშირებული საკითხები. საანგარიშო წელს საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ირგვლივ განვითარებული პროცესები, რომელიც, ერთი მხრივ, უშუალოდ უკავშირდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საჯარო ინტერესს, მეორე მხრივ კი, მუზეუმში დასაქმებულ პირთა უფლებებს ეხება. სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს - უზრუნველყოს შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა ფართო საზოგადოებისათვის, ამასთანავე, კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართოს დარგის კვალიფიციური ექსპერტები და დაინტერესებული საზოგადოება; (იხ. გვ. 247, 250, 252 https://bit.ly/3wA0K7X).

მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში ასახული ფაქტები და გარემოებები სახალხო დამცველმა მიიჩნია საკმარის საფუძვლად დისკრიმინაციის განხორციელების ფაქტის დასადგენად და მათზე დაყრდნობით მიიღო გადაწყვეტილება განცხადების დაკმაყოფილების შესახებ. შესაბამისად, ფაქტების, მტკიცებულებებისა და სამართლებრივი სტანდარტების შეჯერებით, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მიმართ, მოპასუხეების მხრიდან ადგილი აქვს მის პირად ცხოვრებასა და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში ჩარევას განსხვავებული აზრის/მოსაზრებების გამო.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს - საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, **მიმართავს** რეკომენდაციით:

სსიპ - საქართველოს ეროვნულ მუზეუმს:

- მომავალში უზრუნველყოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსებში გამარჯვებულ პირთა ეროვნული მუზეუმის სამუშაო ოთახებში დაშვება და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა.

სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს:

- კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით, გასცეს გ.ბ.-ზე ოროზმანის არქეოლოგიურ ობიექტზე მის მიერ მოთხოვნილი არქეოლოგიური სამუშაოების სანებართვო მოწმობა.

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს:

- როგორც ზედამხედველმა უწყებამ, მონიტორინგი გაუწიოს მისი მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიმართ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების პროცესს;

- უზრუნველყოს შიდაორგანიზაციული აქტებისა და პოლიტიკის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობა, ხოლო ასეთი პოლიტიკის დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოს მათი დროული შემუშავება.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ 20 დღის ვადაში.

პატივისცემით,